

შპს „ზ.მ.“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „ზ.მ.“

2021 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარი)	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	5,735,251	5,652,227
არამატერიალური აქტივები	4	315,777	515,752
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,051,028	6,167,979
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	1,424,681	1,269,948
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,703,917	1,838,662
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	118,151	292,843
სულ მიმდინარე აქტივები		3,246,749	3,401,453
სულ აქტივები		9,297,777	9,569,432
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		136,110	136,110
გაუნაწილებელი მოგება		1,631,424	830,603
სულ კაპიტალი		1,767,534	966,713
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	8	2,807,298	4,042,579
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,807,298	4,042,579
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასხადო ვალდებულებები		58,174	1,310
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,764,495	3,447,963
სესხები	8	900,276	1,110,867
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,722,945	4,560,140
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,297,777	9,569,432

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 8 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი :
მ.ყრუაშვილი

შპს ზ.მ.

2021 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარი)	შენიშვნა	2021	2020
აქტივები			
ჭრელ ვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	5,735,251	5,652,227
არამატერიალური აქტივები	4	315,777	515,752
სულ ჭრელ ვადიანი აქტივები		6,051,028	6,167,979
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5	1,424,681	1,269,948
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,703,917	1,838,662
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	118,151	292,843
სულ მიმდინარე აქტივები		3,246,749	3,401,453
სულ აქტივები		9,297,777	9,569,432
კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		136,110	136,110
გაუნაწილებელი მოგება		1,631,424	830,603
სულ კაპიტალი		1,767,534	966,713
ჭრელ ვადიანი ვალდებულებები			
სესხები	8	2,807,298	4,042,579
სულ ჭრელ ვადიანი ვალდებულებები		2,807,298	4,042,579
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახდო ვალდებულებები		58,174	1,310
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,764,495	3,447,963
სესხები	8	900,276	1,110,867
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,722,945	4,560,140
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,297,777	9,569,432

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 8 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი :

მ.ყრუაშვილი

მ.ყრუაშვილი



3 | გვ ე რ დ ი

7-19 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ზ.მ

2021 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება

(ლარი)	შენიშვნა	2021	2020
შემოსავლები	10	7,330,667	7,692,580
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(4,893,570)	(5,061,961)
საერთო მოგება		2,437,097	2,630,619
სხვა შემოსავალი		51,647	62,652
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	(2,544,987)	(2,035,178)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	13	1,537,314	
ფინანსური ხარჯი		(349,599)	(413,745)
საკურსო სხვაობის ზარალი		387,086	(648,340)
მოგება დაბეგვრამდე		1,518,558	(403,992)
მოგების გადასახადის ხარჯი		(2,261)	(1,067)
წმინდა მოგება		1,516,297	(405,059)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 8 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი :
მ.ყრუაშვილი

შპს ზ.მ

2021 წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება

(ლარი)	შენიშვნა	2021	2020
შემოსავლები	10	7,330,667	7,692,580
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(4,893,570)	(5,061,961)
საერთო მოგება		2,437,097	2,630,619
სხვა შემოსავალი		51,647	62,652
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	12	(2,544,987)	(2,035,178)
სხვა არასასაპერადიო შემოსავალი	13	1,537,314	
ფინანსური ხარჯი		(349,599)	(413,745)
საქონლის სხვაობის ზარალი		387,086	(648,340)
მოგება დაბეგვრამდე		1,518,558	(403,992)
მოგების გადასახადის ხარჯი		(2,261)	(1,067)
წმინდა მოგება		1,516,297	(405,059)

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დადასტურებულია 2022 წლის 8 ნოემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი :

მ.ყრუაშვილი

მ.ყრუაშვილი



4 | გ ვ ე რ დ ი

7-19 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ზ.მ.

2021 წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(ლარი)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	136,110	1,945,715	2,081,825
წლის მოგება	-	(405,059)	(405,059)
გაცემული დივიდენდი	-	(710,053)	(710,053)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	136,110	830,603	966,713
წლის მოგება	-	1,516,296	1,516,296
გაცემული დივიდენდი	-	(715,476)	(715,475)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	136,110	1,631,423	1,767,534

შპს ზ.მ

2021 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	1,516,296	(405,059)
კორექტირებები:	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	395,272	662,629
(მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	-	-
ძირითადი საშუალებების ჩამოფასება	-	-
საპროცენტო ხარჯი	349,599	413,745
მოგების გადასახადის ხარჯი	2,261	1,067
ზარალი საკურსო სხვაობებიდან	(387,087)	648,340
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	1,876,341	1,320,722
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	134,745	(36,564)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(154,732)	(128,236)
ცვლილება სხვა აქტივებში	-	-
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	373,396	216,082
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,229,750	1,372,004
გადახდილი პროცენტი	(351,241)	(379,290)
გადახდილი მოგების გადასახადი	(2,261)	(1,067)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	1,876,248	991,647
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(439,170)	(703,723)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
აქტივის გამოყენების უფლების ზრდა	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	-	4,547
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(439,170)	(699,176)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	-	1,978,895
სესხებზე გადახდილი ფული	(902,094)	(2,478,435)
გადახდილი დივიდენდები	(715,477)	(710,053)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(1,617,571)	(1,209,593)
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	5,800	42,727
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(174,693)	(874,395)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	292,844	1,167,239
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	118,151	292,844

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ზ.მ.“ (შემდგომში-კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში, ქ. ქუთაისის სასამართლო 18.04.2001 წელს. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ქ. ქუთაისი, შევჩენკოს 4ა კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 212709434

კომპანიის მიმდინარე საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - მამუკა ყრუაშვილი პროკურისტი - გიორგი შანიძე

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს: სამშენებლო-სარემონტო მასალების რეალიზაცია, როგორც საცალოდ ისე საბითუმოდ.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენდნენ

მერაბ ჩაგიაშვილი პ/ნ 60002003088 50%

მაია გაბრიჭიძე პ/ნ 60001006878 5%

ზაზა შანიძე პ/ნ 60001004600 45%

კომპანია 2022 წლიდან ყავს ორი შვილობილი კომპანია

შპს ზემ სთოუნ (ს/კ 405506402) - 51%

შპს ზემი (ს/კ 412764762) = 51%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

შესაბამისობა

კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო კომპანიების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად.

უწყვეტი ფუნქციონირება

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების საფუძველზე.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაფასებიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის „საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი“-ს მუხლში“.

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაციისთვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი ქართულ ლართან მიმართებით იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 USD	3.0976	3.2766
1 EUR	3.5040	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელთაც აკლდება დაგროვილი ცვეთის თანხა და საჭიროებისამებრ გაუფასურების ანარცხები. მიწა ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ზარალით.

თვითღირებულება მოიცავს იმ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების თვითღირებულება ასევე მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ყველა სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას მათი წინასწარგანზრახული გამოყენებისთვის, საგნების დემონტაჟისა და მათი ლოკაციის ადგილიდან გატანის ხარჯებს და კაპიტალიზებად სესხით სარგებლობის ხარჯებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ

აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების სანდოდ და საიმედოდ შეფასება. მიმდინარე რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	20 წელი
მანქანა-დანადგარები	10 წელი
ინვენტარი	5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	4 წელი
ავტოტრანსპორტი	10 წელი
არამატერიალური აქტივები	5 წელი
ლიცენზიები	ვადის მიხედვით, წრფივად

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების საკონტრაქტო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულებით. ამ დროს მათ სამართლიან ღირებულებას ემატება ან აკლდება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შესყიდვას ან გამოშვებას. მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შესყიდვასთან პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები დაუყოვნებლივ აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების ბუნებასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ფინანსურ აქტივებს ძირითადად შეადგენს ფული და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც მოთხოვნები ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, გაუფასურებაზე მოწმდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივისათვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება გულისხმობდეს შემდეგს:

- კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე; ან
- კონტრაქტის დარღვევა, როგორცაა დეფოლტი ან გადახდისუუნარობა საპროცენტო ან ძირითად თანხებთან მიმართებაში; ან
- სავარაუდოა, რომ მსესხებელმა გამოაცხადოს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობა; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების ზოგიერთი კატეგორიის შემთხვევაში, როგორცაა სავაჭრო მოთხოვნები, აქტივები გაუფასურებაზე მოწმდება ჯგუფურად მაშინაც კი, თუ ინდივიდუალურად შეფასებისას დადგინდა, რომ გაუფასურებული არ არის. მოთხოვნების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება იყოს კომპანიის წარსული გამოცდილება გადახდების აკრეფასთან დაკავშირებით, ან ქვეყნის ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების მკვეთრი გაუარესება.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების საკონტრაქტო პირობების ვადის გასვლისას ან ამ ფინანსური აქტივისა და მის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის სხვა მხარეზე გადაცემისას. თუ კომპანიამ მფლობელობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც სხვა მხარეს გადასცა და არც შეინარჩუნა და კვლავაც აკონტროლებს გადაცემულ აქტივს, კომპანია აღიარებს მასში შენარჩუნებულ წილს და მასთან დაკავშირებულ, თანხების გადახდის პოტენციურ ვალდებულებას. თუ კომპანიამ შეინარჩუნა ფინანსური აქტივის მფლობელობის

არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ის განაგრძობს ფინანსური აქტივის აღიარებას და აგრეთვე აღიარებს აღებული უზრუნველყოფილი სესხებიდან მიღებულ შემოსავალს.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მოგებაში ან ზარალში ამორტიზებული ღირებულებებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ვადა გასდის. სხვაობა აღიარებული და შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და თანხას მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაუფასურების გამოკლებით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებას ინდივიდუალური კლიენტისგან მოთხოვნის ამოღების ალბათობასთან. კლიენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები, გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ალბათობა, ან გადახდის უნარი იმის მაჩვენებლებია, რომ მოთხოვნა პოტენციურად გაუფასურებულია.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი

გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და

წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის (ოფშორი) მქონე იურისდიქციებში, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები იბეგრება გადახდის წყაროსთან.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) ავანსის მიღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი დღგ-ის თანხით, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე.

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა

საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა მნიშვნელოვნად ინტერპრეტაციებზეა დამოკიდებული და შეიძლება ექვეყნებში დადგეს საგადასახადო ორგანოების მხრიდან გეგმიური თუ კამერალური შემოწმების დროს. საგადასახადო შემოწმებას შეიძლება დაექვემდებაროს საგადასახადო შემოწმების წლამდე წინა სამი კალენდარული წლის პერიოდები. კომპანია დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მისეული გაგების საფუძველზე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნაღებ ხარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილი გასაყიდი ფასით, შემცირებული რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობით კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის რეალიზებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მყიდველისათვის კონტროლის გადაცემის შედეგად.

ანარიცხები

ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

საქონლის რეალიზაცია

რეალიზაცია აღიარებულია მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებულია კლიენტისთვის, კლიენტს სრული დისკრეციული უფლება აქვს საქონელზე, და არ არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, რომლებიც გავლენას იქონიებს კლიენტის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაზიდულია კლიენტთან და მან მიიღო საქონელი ან კომპანიას აქვს დასაბუთებული მტკიცებულება იმისა, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

თანამშრომელთა ანაზღაურება

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა შესაბამისი მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

3.1 შეფასებები და მსჯელობები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს.

შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და შემდგომ პერიოდებში, როდესაც ასეთ ცვლილებებს ექნებათ გავლენა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე მსჯელობებს, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, არის:

- **დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება**

ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას კომპანია ახდენს მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიან მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი.

3. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწის/ნაკვეთები	დაუმთავრებელი/ მშენებლობა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	1,502,434	-	1,725,436	1,444,377	96,227	2,059,893	6,828,367
შეძენა	-	90,264	90,264	573,866	12,255	27,339	793,988
გასვლა	-	90,264	-	18,596	35,916	4,500	149,276
2020 წლის 31 დეკემბერი	1,502,434	-	1,815,700	1,999,647	72,566	2,082,732	7,473,079
შეძენა	22,524	-	242,467	321,073	5,153		591,217
გასვლა		-	6,111		2,502	2,500	11,113
2021 წლის 31 დეკემბერი	1,524,958	-	2,052,056	2,320,720	75,217	2,080,232	8,053,183
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	701,122	245,053	73,784	392,704	1,412,663
წლის ცვეთის ხარჯი	-	-	86,443	164,061	5,873	206,277	462,654
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	18,438	31,527	4,500	54,465
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	787,565	390,676	48,130	594,481	1,820,852
წლის ცვეთის ხარჯი	-	-	91,841	194,654	6,808	205,408	498,711
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	332		1,301		1,633
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	879,074	585,330	53,637	799,889	2,317,930
ნეტო საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 31 დეკემბერი	1,502,434	-	1,028,135	1,608,971	24,436	1,488,251	5,652,227
2021 წლის 31 დეკემბერი	1,524,958	-	1,172,982	1,735,390	21,580	1,280,343	5,735,251

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

4. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები	კომპიუტერული პროგრამები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	1,089,786	9,043	1,098,829
შეძენა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	1,089,786	9,043	1,098,829
შეძენა	843,065	-	843,065
გასვლა	843,065	-	843,065
2021 წლის 31 დეკემბერი	1,089,786	9,043	1,098,829
დაგროვილი ცვეთა			
2019 წლის 31 დეკემბერი	381,210	1,892	383,102
წლის ცვეთის ხარჯი	199,071	904	199,975
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	580,281	2,796	583,077
წლის ცვეთის ხარჯი	704,406	904	705,310
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	505,335	-	505,335
2021 წლის 31 დეკემბერი	779,352	3,700	783,052
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერი	509,505	6,247	515,752
2021 წლის 31 დეკემბერი	310,434	5,343	315,777

5. მარაგები

(ლარი)	2021	2020
საქონელი	1,198,739	1,091,288
ნედლეული და მასალები	203,372	143,249
სხვა მარაგები	22,570	35,411
სულ მარაგები	1,424,681	1,269,948

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)	2021	2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,846,103	2,601,629
დებიტორული დავალიანების რეზერვები	(1,143,696)	(792,069)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,509	1,296
გადახდილი ავანსები	-	27,806
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,703,917	1,838,662

7. ფული და ფულის ექვივალენტები

(ლარი)	2021	2020
ნაღდი ფული ეროვნულ ალუბაში	16,320	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	101,331	182,527
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	499	110,316
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	118,151	292,843

8. სესხები

(ლარი)	2021	2020
გრძელვადიანი სესხები	2,807,298	4,042,579
სულ გრძელვადიანი სესხები	2,807,298	4,042,579

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის სესხები

(ლარი)	2021	2020
მოკლევადიანი სესხები	900,276	1,110,867
სულ მოკლევადიანი სესხები	900,276	1,110,867

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)	2021	2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	3,678,814	3,351,660
მიღებული ავანსები	15,621	39,727
გადასახდელი ხელფასები	70,059	56,576
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,764,495	3,447,963

10. შემოსავალი

(ლარი)	2021	2020
შემოსავალი მარაგების რეალიზაციიდან	6,307,665	6,631,689
შემოსავალი მომსახურებიდან	572,313	661,215
შემოსავლები იჯარიდან	363,973	313,356
შემოსავალი ლიცენზიის როიალტიდან	86,715	86,320
სულ შემოსავალი	7,330,667	7,692,580

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

(ლარი)	2021	2020
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	4,836,211	4,953,415
მომსახურების თვითღირებულება	57,360	108,546
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4,893,570	5,061,961

12. საერთო დადმინისტრაციული დანახარჯები

(ლარი)	2021	2020
შრომის ანაზღაურება	869,564	891,921
სატრანსპორტო ხარჯი	393,590	309,192
ცვეთა და ამორტიზაცია	395,272	296,731
დებიტორი დავალიანების ანარიცხის ხარჯი	351,627	182,950
საგადასახადო ხარჯი	179,306	113,073
კომუნალური ხარჯი	94,875	72,608
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	177,242	69,998
იჯარის ხარჯი	78,646	64,301
უიმედო ვალის ხარჯი	2,301	30,281
საბანკო ხარჯი	2,562	3,461
ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	-	662
სულ საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები	2,544,987	2,035,178

13 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

(ლარი)	2021	2020
ვალდებულების ჩამოწერით მიღებული შემოსავალი	1,537,314	-
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,537,314	-

14. ფინანსური ინსტრუმენტები

(ლარი)	გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	გრძელვადიანი სესხი	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,110,867	4,042,579	3,447,964
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	900,276	2,807,298	3,764,494

(ლარი)	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	ფული და ფულის ეკვივალენტები
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,838,662	292,843
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	1,703,917	118,151

18 | გ ვ ე რ დ ი

7-19 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2021	2020
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,315,789	1,007,169
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	3,429,064	3,142,434
სრული შემოსავლების ანგარიშგება	2021	2020
სატრანსპორტო მომსახურება	98,688	136,836
ნედლეულის და სხვა მარაგების ყიდვა	2,207,454	1,904,390
შემოსავალი მომსახურება	124,201	247,306
შემოსავლები იჯარიდან	11,695	11,694
საოპერაციო შემოსავლები	-	-
სულ ჯამი	2,442,038	2,300,226

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

15. სასამართლო დავები

კომპანიასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა არცერთი მიმდინარე დავა სასამართლოში. რაც შეეხება მოსალოდნელ სასამართლო დავებს, მსგავსი სამართლებრივი რისკის მატარებელი საკითხი ხელმძღვანელობის აზრით არ იკვეთება.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია მზადაა გამოსაქვეყნებლად

დირექტორი:
მ.ყრუაშვილი

თარიღი : 8/11/2022 წელი

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	2021	2020
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,315,789	1,007,169
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	3,429,064	3,142,434
სრული შემოსავლების ანგარიშგება	2021	2020
სატრანსპორტო მომსახურება	98,688	136,836
ნედლეულის და სხვა მარაგების ყიდვა	2,207,454	1,904,390
შემოსავალი მომსახურება	124,201	247,306
შემოსავლები იჯარიდან	11,695	11,694
საოპერაციო შემოსავლები	-	-
სულ ჯამი	2,442,038	2,300,226

დაკავშირებული მხარეები მოიცავს კომპანიის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

15. სასამართლო დავები

კომპანიასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა არცერთი მიმდინარე დავა სასამართლოში. რაც შეეხება მოსალოდნელ სასამართლო დავებს, მსგავსი სამართლებრივი რისკის მატარებელი საკითხი ხელმძღვანელობის აზრით არ იკვეთება.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდს შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუშაობის შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების აღიარებას არ აქვს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია მუხდა გამოსაქვეყნებლად

დირექტორი:
მ. ყრუშვილი

მ. ყრუშვილი



თარიღი : 8/11/2022 წელს

19 | გ ვ ე რ დ ი

7-19 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს